ცნობის ფურცელი

№ 2396 კვირა, 1 თებერვალი 1896—1904 ყოველ-დღიური გამოცემა № 2396

გაზეთი ღირს: წლიწადში—6 მ., თვეში უდამატებოთ—50 კ. დამატებით—75 კ.; ნომერი—3 კ., დამატებით—5 კ. ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი „პეტიტით“ პირველ გვერდზე—10 კ., მეოთხეზე—5 კ. ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „მოამბე“-„ცნობის ფურც.“ რედაქციის კონტორაში ბანკის დიდ ქუჩაზე, № 27 და წ. გამ. ქართველთა ამხანაგობის კიოსკში (ქვაშვეთის ეკკლესიის პირდაპირ).

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს.—პირდაპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, შუადღის 11—1-ლ საათამდე.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, въ редакцію „Цнобисъ-Пурцели“-„Моамбе“. ტელეფონი № 372.

გაზეთის ნომერი ღირს 3 კაპ. სურათებიანის დამატებით 5 კაპ.

კვირას, პირველს თებერვალს, **ქუთაისში**, მთავარ-ანგელოზის ეკკლესიაში დანიშნული იქნება წლის წირვა და პანაშვიდი ექიმის

დავით სპირიდონის ძის გიორგობიანისა.

ძმები განსვენებულისა გრიგოლი და თეოფანე სთხოვენ ნათესავთ და ნაცნობთ პატივი სცენ და მობრძანდნენ. (1—ნ.—1)

ნომ. 47.

ქართული თეატრი

ორშაბათს, 2 თებერვალს, ქართულ დრამატიულ საზოგადოების დასის მიერ წარმოდგენილი იქნება **ქ-ნ გაბუნია-ცაგარლის საბენეფისოდ** ახალი პიესა

I

ინჟინერი სიძე

კომედ. 3 მოქმ. აზიანისა.

ახალი პიესა

II

დარისპანის გასაჭირი

სცენა 1 მოქმ. დ. კლდიაშვილისა.

მონაწილეობას იღებენ: ქ-ნნი ტასო აბაშიძე, ნ. გაბუნია-ცაგარელი, ნ. დავითაშვილი, ნებიერიძე, ელ. ჩერქეზიშვილი. ბ-ნნი: დ. ბაქრაძე, ნ. გვარაძე, ს. სვიმონიძე, კ. შათირიშვილი, შალიკაშვილი.

ადგილების ფასი ჩვეულებრივია. დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

მზადდება წარმოსადგენად: გუნიას საბენეფისოდ ახალი პიესა „ჩატეხილი ხიდი“ და „მალად გაკიჟებული“.

რეჟისორი **აკაკი.**

ტფილისის სახაზინო თეატრი. რუსული ოპერა.

ანტრეპრიზა მისის უდიდებულესობის სოლისტის ნ. ნ. ფიგნერისა.

წარმოდგენის წინ შესრულებული იქნება საერო ჰიმნი

ორშაბათს, 2 თებერვალს, 1904 წ., გაიმართება ორი წარმოდგენა. დილით

ცხოვრება ცარისათვის

ოპერა 4 მოქ. მუს. გლინკასი.

საღამოთი ენკვისტის საბენეფისოდ

პიკოვაია დამა

მონაწილეობას იღებენ: ქ-ნნი: ენკვისტ, კარტავინა, კალინინა, სელიუკ, ლელინა; ბ-ნნი: დარსკი, [illegible], ილიუშენკო, ამიოჯანი, ევლახოვი, ფედოროვი, გრიზევი, გავრილოვი.

დასაწყისი საღამოს 8 საათზე. კაპელმეისტერი ე. ესპოზიტო.

ანონსი: 3 თებ. „მშვენიერი ელენე“ (2 აქტი), ბოშების სიმღერები და ნეაპოლიტანური სიმღერები. წარმოდგენის შემდეგ მასკარადი დივერტისმენტით; 4 თებ. რადინას საბენეფისოდ ახალი ოპერა „ტოსკა“.

ტ ფ ი ლ ი ს ი ს

კერძო სამკურნალო

მკურნალის დ. ა. გედევანიშვილისა.

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე.

დ ი ლ ი თ:

დ. ა. გედევანიშვილი.—შინაგანი, ნერვებისა და წამლობა ელექტრონით 12—1 ს.

ლ. ივ. ძამოევი.—საშარდეს, ქირურგია, ვენერ. სიფილ. და კანისა 10 ს.—11-მდე.

ნ. ტ. მუღინი.—ყურისა, ყელისა და ცხვირის. 10—11 საათამდე.

ა. გ. მაღალაშვილი.—ბავშვებისა და შინაგ. 10—11 საათ.

ვ. დ. ლამბაშიძე.—შინაგ. და ბავშვ. ორშაბ., ოთხშაბ. და პარასკ. 11—12.

ზრ. გ. სოგოლევსკი.—ქირურგია და ორტოპედია: ორშაბათობით, ოთხშაბათ. და პარასკევ. 1—3 საათამდე.

ვ. მ. მანსვეტოვი.—შინაგანი, ნერვებისა და ბავშვების, კვირაობით 10—12.

ექ. **ქალი მ. კ. იოსელიანი.**—ქალისა და საბებიო, სამშ., ხუთშ. და შაბათ. 12—1 ს.

ლ. მ. მონინი.—ქალისა, საბებიო და ბავშ. (შემოწმება ძიძებისა) ოთხშაბათ., პარასკ. და კვირაობით 11—12 საათამდე.

გ. ჟიჟინაძე—კბილისა, 8—9 საათამდე.

ნ. ტყეშელაშვილი.—კბილისა, 9—11 საათამდე.

ს ა ღ ა მ ო თ ი:

გ. ვ. სოგოლევსკი—ქირურგია და ორტოპედია. სამშაბათ. და შაბათ. 5—6 ს.

ა. გ. მაღალაშვილი.— შინაგ., ბავშ., ყვავილის აცრა და მიკროქიმიური გამოკვლევანი 5—6 ს.

სამკურნალოს აქვს ოცი მუდმივი საწოლი.

ფასი რჩევისა და დარიგებისა 50 კაპ., ოპერაციები მორიგებით. კრავატები სამი მანეთიდან ხუთამდე.

ადრესი: კუკია, ველიკოკნიაჟესკის ქუჩა, (კუკიის ხიდიდან მეცხრე სახლი) სახლი აბრამოვისა, № 9. მიხეილის ქუჩიდან-კი 34 Б.

(წლ.) ტელეფონი № 274

ე ქ ი მ ი

ა. ნ. დიასამიძე

(კანისა და ვენერიული)

დილის 9—10 ს. საღამოს 7—9 საათამდე. კვირაობით მხოლოდ დილით. მიხეილის პროსპექტი № 123.

(თვ.—0—8)

ქ უ თ ა ი ს შ ი

ექიმი ს. ი. ბეგიაშვილი

იღებს საბებიო, შინაგან და ვენერიული სნეულებით ავადმყოფებს დილის 9—12 საათამდე, და საღამოს 3—5 საათამდე. გენერალის ქუჩა, სახლი ბენიამინ ქურთოშვილისა.

ქ უ თ ა ი ს შ ი

კბილის ექიმი

მ. ი. ბეგიაშვილისა

იღებს ავადმყოფებს დილის 9—12 ს. და 1—3 საათამდე. გენერალის ქუჩა, სახლი ბენიამინ ქურთოშვილისა.

კბილის ექიმი

ი. პ. ახალშენიშვილი

(ელისაბედის ქუჩა, № 38).

მიიღებს ავადმყოფებს დილის 9—2 საათამდე. საღამოობით 5—7-მდე, ხოლო კვირა-უქმეობით 9—1-მდე და საღამოობით 5—7-მდე.

ქ უ თ ა ი ს შ ი

ექიმი გ. დ. ნასარიძე

მიიღებს შინაგან და ნერვების მნეულებით ავადმყოფთ დილით 9—12-მდე საღამოთი 5—7საათამდე. ტფილისის ქუჩა, სახლი ანტიპარმაკლიძისა.

(0—ნ.—40)

ე ქ ი მ ი

ვ. ს. მუსხელიშვილი

მიიღებს თვალით ავადმყოფებს დილით 1—3 საათ., საღ. 6—7. წყნეთის ქუჩა, № 21 სახლი ვაჩნაძისა.

კბილის ექიმი

ნ. ტყეშელაშვილი

ოლგას ქუჩა № 31. მიიღებს ავადმყოფებს ყოველ დღე დილის 9—1 საათამდე, ნაშუადღევის 2—4-მდე. კვირაობით 10—6-მდე.

ე ქ ი მ ი

ვ. დ. ლამბაშიძე

ორშაბათს, ოთხშაბათს და პარასკევს საღამოს 6—7 საათამდე, ნიკოლოზის ქუჩა სახლი № 46.

რადგან შორეულ-აღმოსავლეთში

ომი დაიწყო,

ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა წინამძღოლი სთხოვს გუბერნიის თავად-აზნაურთ მობრძანდნენ

საგანგებო კრებაზე,

რომელიც მოხდება ამა წლის 5 თებერვალს, დილის 11 საათზე, ქობულიშვილის სახლში (გრიბოედოვის ქუჩა). (3—ნ.—1)

ხეხილის ნერგები

საუკეთესო ხარისხისა საზღვარ-გარეთის და ადგილობრივი **ისყიდება** ზომიერ ფასად

ფ. ა ვ ს ა რ ქ ი ს ო ვ ი ს

მამულში. ადრესი: კავკასიის რკინის გზა—საგურამო ფ. ავსარქისოვს. კატალოგები მსურველთ უფასოდ ეგზავნება. (ნ 10—1)

რუსეთ-იაპონიის

ომი

დეპეშები

(სავაჭრო სატელეგრაფო სააგენტოსაგან)

პეტერბურგი, 31 იანვარი.

პორტ-არტური. ჰფიქრობენ, იაპონელები გარს იმიტომ შემოერტყენ პორტ-არტურს, რომ ჩვენი ფლოტი შეაჩერონ და კორეიასა და სხვა ადგილებში თავიანთი ჯარები გადმოსხან.

პარიზი. ამბავი მოვიდა, რომ რუსეთის 5 კრეისერს ქალაქ ხაკოდატესათვის ყუმბარები დაუშენია და სულ ერთიანად დაუწვავს.

პეტერბურგი. შორეულ-აღმოსავლეთის ნამესტნიკმა გენერალ-ადიუტანტმა ალექსეევმა უქვეშევრდომილესად მოახსენა ხელმწიფე იმპერატორს: ნაღმით დატვირთული გემი „ენისეი“ ზღვაში ნაღმს წააწყდა, აფეთქდა და დაიღუპა. დაიხოცნენ: კაპიტანი სტეფანოვი, მექანიკი იანოვსკი, მიჩმანები ხრუშჩევი და დრიჟენკო და 92 ჯარის კაცი.

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

30 იანვარი

პეტერბურგი. გენერალ-მაიორს ჟილინსკის ებოძა გენერალ-ლეიტენანტობა და დაინიშნა შორეულ-აღმოსავლეთის ნამესტნიკის მებრძოლი ჯარის შტაბის უფროსად.—რადგან ციმბირის გზით ამ ჟამად დიდ-ძალი ჯარი გადადის, უმაღლესად ნაბრძანებია, შეჩერებულ იქმნას ციმბირისა და სტეპნოის საგენერალ-გუბერნატოროში გადასახლებულთა გადაყვანა. იმ გლეხებს, რომელთაც ორის წლის ვადა ჰქონდათ დანიშნული მიწების მისაღებად, ვადა ერთის წლით გაუგრძელდათ.—რადგან დიდ-ძალმა ხალხმა განაცხადა სურვილი წითელის ჯვრის რაზმებში ჩარიცხვისა და შორეულ-აღმოსავლეთში წასვლისა, ჩარიცხვა დასრულდა და ამიერიდან აღარავის მიიღებენ.—შორეულ-აღმოსავლეთის ნამესტნიკის განკარგულებით შესწყდა კერძო დეპეშების მიღება და გზავნა კვანტუნის დაწესებულებებში და პორტ-არტურსა და ხარბინს შუა მდებარე ჩინეთის აღმოსავლეთ რკინის გზის სადგურებში. გამოცხადებულია, რომ იმპერიიდან მანჯურიაში გაგზავნილი დეპეშები იმ ადგილამდე მივა, სადამდინაც ნება დართულია, შემდეგ ფოსტით გაიგზავნება.—იაპონიასთან ომის დაწყების გამო უწმ. სინოდმა დაადგინა: 1. გადასცეს წითელ ჯვრის საზოგადოებას სასანიტარო საჭიროებათათვის 100,000 მან. და 2. მისწეროს მოსკოვისა და ქართლ-კახეთ-იმერეთის სასინოდო კანტორებს, საეპარქიო ეპისკოპოსებს, სასახლის სამღვდელოების გამგეს და სამხედრო და საზღვაო სამღვდელოების პროტოპრესვიტერს დაავალონ ეკკლესიებს, სამღვდელოთა კრებულებს, ლავრებს და მონასტრებს ფული შესწირონ მებრძოლ ჯარის სასანიტარო საჭიროებათათვის. ასეთი შემოწირულებანი უნდა გადაეცეს წითელის ჯვრის საზოგადოების ადგილობრივ განყოფილებებს, ხოლო სადაც განყოფილება არ არის, შეტანილ უნდა იქნას ადგილობრივ ხაზინაში. ამასთან ეს ამბავი უნდა ეუწყოს უწმ. სინოდის სამეურნეო გამგეობას, რომ განკარგულება მოახდინოს ხაზინაში შეტანილ შეწირულ ფულის დანიშნულებისამებრ გასაგზავნად.—მოწყალების დათა პირველ რაზმის გაგზავნას შორეულ აღმოსავლეთში ჰფიქრობენ 1 თებერვალს. ეს რაზმი 25 კაცისაგან შესდგება.—უწმ. სინოდის ობერ-პროკურორმა წარუდგინა ხელმწიფე იმპერატორს უქვეშევრდომილესი მოხსენება და უწმ. სინოდის უქვეშევრდომილესი ადრესი. მისმა უდიდებულესობამ კეთილ ინება და საკუთარის ხელით წააწერა: „ვმადლობ უწმინდესს სინოდს ლოცვისათვის“.—შინაგან საქმეთა მინისტრმა წარუდგინა მის უდიდებულესობას უქვეშევრდომილესი მოხსენება და უმართებულესს სენატის ადრესი. ხელმწიფე იმპერატორმა კეთილ ინება და წააწერა: „გულწრფელად გმადლობ უმართებულესს სენატს გამოცხადებულ გრძნობათათვის“. ხელმწიფე იმპერატორმა კეთილ ინება და მოსკოვის საბირჟო კომიტეტის თავმჯდომარის დეპეშაზე წააწერა: „გულწრფელად გმადლობ მოსკოვის საბირჟო კომიტეტს გამოცხადებულ გრძნობათათვის და გულუხვ შემოწირულებათათვის“: ხელმწიფე იმპერატორმა ალექსანდრეს საიმპერატორო ლიცეის მზრუნველის უქვეშევრდომილესს მოხსენებაზე კეთილ ინება და წააწერა: „გულწრფელად გმადლობ ლიცეის მოსამსახურეებსა და მოსწავლეებს გამოცხადებულ გრძნობათათვის“.

პეტერბურგი. უმაღლესი ბრძანება უმართებულეს სენატს: „საჭიროდ ვსცანით ციმბირის სამხედრო ოლქის ჯარები და დაწესებულებანი საომარ ფეხზე დავაყენოთ, აგრეთვე სანამესტნიკოში დაბინავებულნი ზურგის ჯარებიც საომარ რიცხვამდე შევსებულ იქმნენ. ჩვენ ვუბრძანეთ დღევანდელს რიცხვს ბოძებულის ბრძანებითა სამხედრო მინისტრს, რომ ამის შესახებ ეხლავე განკარგულება მოახდინოს. ამასთანავე ვუბრძანებთ: 1) ციმბირის სამხედრო ოლქის ყველა გუბერნიებიდან გამოიწვიონ სამსახურისათვის სამხედროისა და ფლოტის სათადარიგო ჯარის-კაცნი თანახმად ეხლანდელის სამობილიზაციო წესისა, აგრეთვე, რამდენიც დასჭირდებათ, ყაზანის სამხედრო ოლქის შემდეგ მაზრებიდანაც: ვიატსკის გუბერნიისა—კოტელნიკისა და პერმის გუბერნიისა—ვერხოტურისა, ირბიტისა, კამიშლოვისა და შადრინსკისა. 2) გამოიწვიონ მთელის იმპერიის სათადარიგო აფიცრები, რომელნიც სახელდობრ დანიშნულნი არიან ციმბირის სამხედრო ოლქის ჯარების შესავსებად, და 3) შეიძინონ მკვიდრთაგან საკმარისი რიცხვი ცხენებისა იმ წესით, როგორიც ადგილობრივ შემუშავებული იქმნება. უმართებულესი სენატი არ დასტოვებს, ამის შესახებ საჭირო განკარგულებანი მოახდინოს“. ნამდვილზე მისის იმპერატორებითის უდიდებულესობის საკუთარის ხელით მოწერილია: **„ნიკოლოზ“**. პეტერბურგი 29 იანვარს 1904 წ.

— 30 იანვარს, ხელმწიფე იმპერატრიცის მარიამ თეოდორეს ასულის თანადასწრებით, წმ. გიორგის სახელობის მოწყალების დათა საზოგადოების ეკლესიაში იქაურმა მღვდელმა პარაკლისი გადაიხადა და გზა დაულოცა შორეულ-აღმოსავლეთს მიმავალ მოწყალების დათ. 18 და ზღვაში მოსიარულე საავადმყოფოში ემსახურებიან ავადმყოფებს. ამათთან ერთად 7 ვოლონტერი მიდის.

— პეტერბურგის მკვიდრთა შორის არა ჩვეულებრივი აღტაცებაა: ქუჩებში მანიფესტაციები იმართება. გუშინ დიდძალი ჯგუფი სტუდენტებისა უნივერსიტეტიდან საზამთრო სასახლისაკენ წავიდა და სასახლის წინ გაჩერდა; სტუდენტებმა ქუდები მოიხადეს და „ბოჟე ცარია ხრანი“ იმღერეს, შემდეგ აღტაცებული „ურა“ შესძახეს. ხელმწიფე-იმპერატორი ფანჯარასთან მიბრძანდა და მადლობის ნიშნად თავი დაუკრა სტუდენტებს. დაინახეს თუ არა ფანჯარაში საყვარელი მეფე, „ურა“ კიდევ უფრო ძლიერად გაისმა. მისი უდიდებულესობა ფანჯარას არ მოშორებია, ისე უბრძანა სასახლის კომენდანტს, სტუდენტებთან გასულიყო და მისის უდიდებულესობის უგულითადესი მადლობა გადაეცა იმათთვის.

ტიან-ძინი. 30 იანვარი. („ჰავას. სააგ.“) 27 იანვარს იაპონელებს ლიაოდუნის ნახევარ კუნძულის ვიწრო ადგილში ჯარის გადმოყვანა უნდოდათ. უთუოდ იაპონელებს კინჩაუსა და დალნის დაჭერა უნდოდათ. განზრახვა ვერ შეასრულეს. როგორც ისმის, იაპონელთა ორი პოლკი, რომელიც ნაპირზე გადმოვიდა, სრულიად განადგურებულია.

პარიზი. პალატის კარიდორებში დეპუტატი ბერრი ამბობდა, რუსეთ-იაპონიის განხეთქილების შესახებ დელკასესთან ვიყავი და მოველაპარაკეო. ლაპარაკის დროს ბერრიმ შეატყობინა დელკასეს, ვფიქრობდი პალატაში წინადადების შეტანას, რათა პალატამ მოკავშირე რუსეთს ადრესი გაუგზავნოს და სიმპატია გამოუცხადოს, მაგრამ ეს აზრი უარვყავ ორის მოსაზრებით: 1) საფრანგეთის რუსეთისადმი გრძნობებში არავის ეჭვი არა აქვს; 2) ამისთანა ინიციატივა მითქმა-მოთქმას გამოიწვევდა, რომელიც, უმჯობესია, თავიდან ავიცდინოთ. ამასთან ასეთი წინადადება სხვა ქვეყნებში საწინააღმდეგო მანიფესტაციებს გამოიწვევდაო.

ტოკიო. 29 იანვარი. („რეიტ.“ სააგ.“) დღეს იაპონიის იმპერატორმა ომის გამოცხადების შესახებ შემდეგი მანიფესტი გამოაქვეყნა: „ჩვენ, იაპონიის იმპერატორი, ყველა ჩვენ ქვეშევრდომს ვაუწყებთ, რომ ამით რუსეთს ომს ვუცხადებთ და ჩვენს ჯარსა დ ფლოტს ვუბრძანებთ მთელის შეიარაღებულის ძალ-ღონით ომი დაიწყოს. ჩვენი მუდმივი მისწრაფება იყო ჩვენის სახელმწიფოს მშვიდობიანი განვითარება, აყვავება, მეგობრულ კავშირის გამტკიცება სხვა სახელმწიფოებთან, და საქმის ისე მოწყობა, რომ აღმოსავლეთ აზიაში ხანგრძლივი მშვიდობიანობა დამყარებულიყო და მომავალში ჩვენი ძლიერება უზრუნველ ყოფილიყო, ამასთან სხვა სახელმწიფოების უფლებანი და ინტერესებიც არ დაგვერღვია. ჩვენის მოლოდინის წინააღმდეგ, გარემოებებმა, სამწუხაროდ, იძულებულ გვყვეს რუსეთის წინააღმდეგ მტრული მოქმედება დაგვეწყო. მხოლოდ იარაღით შეგვიძლიან უზრუნველ ვყოთ ჩვენი მომავალი. იმედი გვაქვს, რომ ჩვენ ქვეშევრდომთა ერთგულება და მამაცობა მალე აღადგენენ მტკიცე მშვიდობიანობას და დაიცავენ ჩვენის სახელმწიფოს დიდებას“.

ლონდონი. გლაზგოდან იუწყებიან, რუსეთის მთავრობამ განკარგულება მოახდინა, კარდიფიდან შორეულ-აღმოსავლეთში წასაღებ ქვა-ნახშირის გემებზე დატვირთვა შეაჩერეთო. რუსეთის ხარჯით პორტ-არტურში გასაგზავნად ქვა-ნახშირის დატვირთვა ზოგან შეაჩერეს, ზოგან დაუყოვნებლივ შეაჩერებენ. ქვა-ნახშირით დატვირთული და გზაში მყოფი გემები, რათა იაპონელებს ხელთ არ ჩაუვარდნენ, სხვა გზით უნდა წავიდნენ. ნახშირით დატვირთული ერთი გემი, რომელიც პორტ-არტურს უნდა წასულიყო, რუსეთის მთავრობამ შეაჩერა. ეს გემი ინგლისმა ჰონკონგისთვის დაიქირავა და ეხლა ცნობებს ჰკრებავს, ჩინეთის ზღვაში მყოფ ინგლისის გემებისთვის ნახშირის გადაზიდვა რა ეღირებაო.

სტამბოლი. პორტამ განაცხადა, რუსეთ-იაპონიის ომის დროს სრულს ნეიტრალიტეტს დავიცავო.

კილი. აქაურ ოფიციალურ წრეებში არაფერი იციან იმის შესახებ, ვითომ რუსეთის ესკადრას იმპერატორ ვილჰელმის არხში გაევლოს.

ჩიფუ. („რეიტ. სააგ.“) სამშაბათიდან იაპონიის ფლოტი აღარა სჩანს.

ბერლინი. გერმანიის კრეისერი „განზა“ გუშინ ჩიფუში მოვიდა და დღეს პორტ-არტურს წავიდა, რათა იქიდან გერმანიის ქვეშევრდომი ქალები და ყმაწვილები წამოიყვანოს.

ტიან-ძინი („ვოლფის სააგ.“) ხმა გავრცელდა, ვლადივოსტოკიდან მიმავალ რუსეთის ხუთმა კრეისერმა სამშაბათს ქალაქ ხაკოდატეს ზარბაზნები დაუშინესო.

პეტერბურგი. 30 იანვარს უნივერსიტეტის სტუდენტები შეიკრიბნენ ანიჩკოვის სასახლის წინ; იმღერეს ჰიმნი და შესძახეს „ურა“. ფანჯარაში გამოჩნდა დედოფალი მარიამ თეოდორეს ასული, თავ-დაკვრით მადლობა გადაუხადა ახალგაზრდობას, რომლის ენტუზიაზმმაც ბევრი იქ მყოფი აატირა.

პეტერბურგი. უქვეშევრდომილესი დეპეშა, რომელიც მისმა იმპერატორებით უდიდებულესობამ პორტ-არტურიდან მიიღო შორეულ-აღმოსავლეთის ნამესტნიკისაგან: „უქვეშევრდომილესად ვაუწყებ თქვენს იმპერატორებით უდიდებულესობას, რომ 29 იანვარს, ნაღმით დატვირთულ გემმა „ენისეიმ“, რომელსაც უფროსობდა მე-2 რანგის კაპიტანი სტეპანოვი, შეჰნიშნა ამოტივტივებული ნაღმი და მიუახლოვდა, რათა დაეცალა და ამრიგად წაეხდინა; მაგრამ ამ დროს წააწყდა სხვა ნაღმს, რომელიც გემის ქვეშ აფეთქდა. მოასწრეს ნავების ზღვაში ჩაშვება. აფეთქების დროს დაიღუპნენ: „ენისეი“-ს უფროსი სტეპანოვი, მეხანიკი იანოვსკი, მიჩმანები ხრუშჩევი და დრიჟენკო და 92 ჯარის-კაცი“.

ნიდერლანდიის რწმუნებულმა რუსეთის მთავრობას აცნობა, რომ ნიდერლანდიის სამეფოს მთავრობა, რუსეთ-იაპონიის ომის დროს, მტკიცე ნეიტრალიტეტს დაიცავსო.

31 **იანვარი**

ხარბინი. ჯარის მობილიზაციის გამოცხადებას მცხოვრებნი „ურას“-ს ძახილით მიეგებნენ. იაპონელები თავიანთ ოჯახებით აქედან წავიდნენ. ვაჭარი-იაპონელები ჩინელებს ატყობინებდნენ, მალე დავბრუნდებით, ხელახლად საქმეებს შევუდგებით და დასაცველად იაპონურ პასპორტებს გამოგიგზავნითო.—რადგან ახლად ჯარში გასაყვანნი დაიბარეს, ჩინელები წავიდნენ და მალე ახალი წელი იწყება, მუშებისა და მოსამსახურეების რიცხვი შემცირდა. სახელოსნოებმა და წისქვილებმა მუშაობას უკლეს. საჭირო საგნებსა და სურსათზე ფასები ძალიან მატულობს. რკინის გზის მოხელეები მთავრობის წინაშე შუამდგომლობენ, ოჯახებს სამშობლოში ვგზავნით და დახმარება აღმოგვიჩინეთო. ჩინეთის მთავრობამ თავის ქვეშევრდომებს ბრძანება მისცა, რუსებს ენდეთ და მათ დაცვისა და კანონიერ მოქცევის იმედი გქონდეთო. მცხოვრებნი და რკინის გზის მოსამსახურენი აღფრთოვანებულნი არიან. სწრაფ მატარებლების მიმოსვლა შესწყდა. უკანასკნელი მატარებელი დალნიდან 29 იანვარს წავიდა, დალნისა და შინჰაისა, ნაგასაკსა და ვლადივოსტოკს შუა გემების მიმოსვლა შეჩერებულია.

ტომსკი. გიმნაზიის 15-მდე მოსწავლე შორეულ-აღმოსავლეთში ჯარში თავის ნებით მიდის.—ჯარის მობილიზაციის გამო ქალაქში სიცოცხლემ იმატა.

სოფია. აქაურ სობოროში დიდებულ გამანთავისუფლებელ რუსეთის გამარჯვებისათვის პარაკლისი გადაიხადეს. პარაკლისს მთავარი და მრავალი ხალხი დაესწრო.

ბელგრადი. 31 იანვარს სობოროში რუსეთის გამარჯვებისათვის პარაკლისს გადაიხდიან.

პერიმი. ჯიბუტიდან ცნობა მოვიდა, იქ ქვა-ნახშირით დატვირთული რუსეთის ესკადრა დგას, რომელიც 5 თებერვლამდე იქ იქნება და მოუცდის მეორე ესკადრას, რომელიც სუეციდან მოდისო.

ტოკიო. („ვოლფის სააგ.“) საზღვაო სამხედრო სამინისტრო ყველას აუწყებს, რომ სამხედრო კონტრაბანდათ ჩაითვლება: 1) იარაღი, საჭურველი მასალა, ასაფეთქებელი ნივთიერებანი, ტყვია, სელიტრა, გოგირდი და სხ. და მათი მოსამზადებელი იარაღი, გაჯი, ჯარისთვის ყოველგვარი ტანისამოსი, ჯავშანი, გემების გასაკეთებლად საჭირო მასალა და იარაღი და ყველაფერი, რაც კი სამხედრო მიზნისთვის იქნება მტრის ბანაკიდან გამოტანილი, ან იქ მიტანილი; 2) საკვებავი მასალა, სასმელები, ცხენები, მორთულობა, ცხენების საკვებავი, ურმები, ნახშირი, ხე, ფული, ზოდი ოქრო, ვერცხლი, რკინის გზებისა, ტელეგრაფის და ტელეფონის გასაკეთებლად საჭირო მასალები, რომელიც მტრისკენ იქნება წაღებული; 3) ამ სიაში არ შედის ის მასალა, რომელიც ამ გემისთვის აუცილებელ საჭიროებას შეადგენს.

ჟურნალ-გაზეთებიდან

რუსეთისა და იაპონიის ფლოტი. გაზეთებიდან სჩანს, რომ იაპონიას ამ ჟამად ჯავშნიანი გემი 8 ჰყავს, ამათგან 6 დიდია, 2 უფრო მომცროა, პირველ ხარისხის კრეისერი—6 ჰყავს, მეორე და მესამე ხარისხის კრეისერი—16; კანონირი ნავი—16, ნაღმიან გემების გამანადგურებელი—20; პირველ ხარისხის ნაღმიანი გემი—18, მეორე და მესამე ხარისხისა—59; ნაღმიანი კრეისერი—2; ზღვის ნაპირების დამცველი გემი—10; სატრანსპორტო გემი—4; სულ 159 გემი.

რუსეთს დიდ ოკეანეში ჰყავს: ჯავშნიანი გემი—7; პირველ ხარისხის კრეისერი—9; მეორე ხარისხის კრეისერი—5; კანონირი ნავი—7; ნაღმიანი გემი—12; ნაღმიანი კრეისერი—2, სატრანსპორტო გემი—6; ამას გარდა 20—30 პატარა ნაღმიანი გემიცა ჰყავს, სულ 70-მდე გემი ჰყავს.

ამას გარდა იაპონიის ფლოტს მაშველად 4 კრეისერი ჰყავს, რუსეთის ფლოტს—1 ჯავშნიანი გემი, 2 კრეისერი და 6 ნაღმიანი გემი.

იაპონიის ფლოტს 24—25 ათასი მეზღვაური ჰყავს და მომეტებულ ნაწილად სულ არმსტრონგის სისტემის მსწრაფლ მსროლელი ზარბაზნები აქვს. რუსეთის ფლოტს 15 ათასი მეზღვაური ჰყავს და სხვა-და-სხვა სისტემის ზარბაზნები აქვს. წარსულ ნოემბრის გასულს რუსეთის ფლოტს 1,100—1,200 ზარბაზანი ჰქონდა.

ფრანგ მეზღვაურების აზრით, რუსეთის ჯავშნიანი გემები უფრო ძლიერია, ვიდრე იაპონიისა, სამაგიეროდ იაპონიის ჯავშნიანი კრეისერები ბევრად სჯობიან რუსეთისას, იაპონიის პატარა კრეისერები ხოლ რიცხვითაც სჭარბობენ რუსეთისას და სიმარ დიდეც სჯობიან. ეგაა იაპონიის ფლოტს მეტი საქმეც აქვს, ჯარიც უნდა გადმოყვანოს ხმელეთზე და თავის ქვეყნის ნაპირ ბიც დაიცვას.

რუსეთის ფლოტი ორ ნაწილად გაყოფილი, ერთი ესკადრა ვლადივოსტოკში დგას, მეორე პორტ-არტურში და ერთმანეთის დახმარება ეხლა აღარ შეუძლიანთ, რადგან იაპონიის ფლოტმა თითქმის ყველგან გზები შეუკრა. რუსეთის ფლოტს, ამბობენ,

ფელეტონი

პატარა ამბები

ომი, ომი, ომი!—ვიზედ როგორ მოქმედობს ომი.—პატარა ომი.—მშვიდობიანობის დამცველნი, თუ დამარღვეველნი? მეგრელი მეგრელების მტრის წინააღმდეგ.—ნება დაურთველი.

ვსწერ ჩემს საკვირაო ფელეტონს, ჩემს ჩვეულებრივს, პატარა ამბებს, მაგრამ ...უხალისოდ. როდესაც კარზე დიდი ამბავი მოგვადგა, როდესაც შორეულ აღმოსავლეთში დიდებული ჰექა-ქუხილი გაისმის, ვისღა ცალია რაღაც პატარა ამბებისათვის!

„ომი, ომი, ომი“! გაისმის ყოველ მხრიდან ომზე საუბრობს დიდი და პატარა, ომზე ლაპარაკობენ ქუჩაში, თეატრში, საზოგადო დაწესებულებებში, ოჯახებში, კერძოდ თუ საჯაროდ, ომზე ლოცულობენ ეკლესიებში, ომზე ყვირიან ქუჩაზე ბიჭები, ომზე ოცნებობენ გაკოტრებული აზნაურები, ომს ჩოთქზე ანგარიშობენ ვაჭრები, ომზე დავობენ დემოკრატები, ომის გამო ეჭვის თვალით გამოიყურებიან მოხუცებულები!..

ომს ეძებენ ყველანი გაზეთში და სხვა არაფერი აინტერესებთ. ვინ კანტი ან კონტიო, რის კავკავის ავა-ჩავანი, რის ბავშვების მოვლა, ვინ მივიწყებული მთიელებიო! მკითხველებმა ლამის ყველა განყოფილება გაგვაუქმებინონ გაზეთში გარდა ომის ამბებისა. როგორც მოგეხსენებათ, ქართველები საზოგადოდ პოლიტიკის მოყვარე ხალხია, განსაკუთრებით დიდი პოლიტიკოსები არიან იმერლები. თავი მოგვაბეზრეს იმერეთიდან ჯერ კიდევ ომის დაწყებამდის (ეხლა ხომ მთლად დაგვახჩობენ!): არიქა ომის ამბებიო! ნამეტურ იმერელს აზნაურს სხვა არა უნდა რა, ოღონდ პოლიტიკას ნუ მოაკლებ. პოლიტიკოსობისათვის თავის [illegible] [illegible]სების“ [illegible] კი გაბედავს.

მახსოვს, გიმნაზიაში რომ ვსწავლობდი, ზაფხულობით ხან-და-ხან ქართულს გაზეთს ვუკითხავდი მამა-ჩემს: ვიდრე ახალ ამბებს, კორესპონდენციებს, ან ფელეტონს ვკითხულობდით, მამაჩემი უგულოდ მიგდებდა ყურს და ხშირად ამთქნარებდა ხოლმე, მაგრამ როგორც ი გადავიდოდით უცხოეთზე, მაშინ უცბად გამოფხიზლდებოდა, მისი სახის გამომეტყველება სულ სხვა ელფერს მიიღებდა და ისეთის ინტერესით მიგდებდა ყურს, თითქოს მისი პირადი საქმეების შესახებ ყოფილიყო ამბები. რასაკვირველია, ყველაზე უფრო ის ახარებდა, თუ სადმე „ვაინობის“ ნიშანს დაინახავდა. დამიწყებდა დავობას, უსაყვედურებდა, ვისი პოლიტიკაც არ მოსწონდა, და ქება-დიდებით იხსენიებდა ბისმარკს, ინგლისელებს, ნაპოლეონ პირველს,—უკანასკნელის შესახებ გაგონილი ჰქონდა, რომ იგი დიდი ხანია მკვდარი იყო, მაგრამ დიდებულ პოლიტიკოსად მიაჩნდა და იმას ადარებდა, თუ ვინმე მოსწონდა...

დიახ, დღეს ჩვენს გაზეთში ყველაფერს ფასი დაეკარგა გარდა ომის ამბებისა. ერთად ერთი საინტერესო თანამშრომელი და გაზეთის ბატონი დღეს უცხოეთის ამბების გამგეა. დილიდან საღამომდის ხელში კალამი უჭერია, ერთი წუთი მოსვენება არა აქვს, ხან ერთს გაზეთს ჩასცივებია, ხან მეორეს. იქაც უნდა „დაიჭიროს“ რაიმე ახალი ამბავი, აქაც უნდა „იგრძნოს“ პოლიტიკური განწყობილება. ხანდახან გული არ მოუთმენს, რასმე სენსაციონურ რომ შეჰხვდება, წამოხტება ზეზე და ხმა-მაღლა, აღელვებით მოგვმართავს ამხანაგებს: დახეთ ერთი, რა ამბავიაო!

„ნიკო! სად არის ეს ჩემულპო?“—„ნიკო! რამდენი ჯარი ჰყავს იაპონიას?“—„ნიკო! ვის რამდენი გემი ჰყავს აღმოსავლეთის ზღვებში!“—„ნიკო! როგორია საზოგადო მდგომარეობა პოლიტიკისა?“—„ნიკო! როდის უნდა გათავდეს ომი?“—„ნიკო! რამდენი უღირს იაპონიას ან რუსეთს დღეში ომიო?“ ასეთის თუ სხვა მრავალის კითხვებით მოსვენებას არ აძლევენ ჩვენს „გარეშე საქმეთა მინისტრს“, თუ გაზეთის თანამშრომლები ეკითხებიან, თუ გარეშე პირები. იგიც სიამოვნებით და დაუღალავად ხან ერთს უხსნის კორეის და იაპონიის გეოგრაფიას, ხან მეორეს უანგარიშებს, თუ რამდენი უნდა დაჯდეს ერთს დღეში ეხლანდელი ომი.

ომი! ომი, ომი!..

* *

სამი-ოთხი დღეა, რაც ომი დაიწყო. ვინ იცის, სანამდის გაგრძელდება, როდის გათავდება ეს ჰექა-ქუხილი, როდის შეწყდება ეს ზარბაზნების ზუილი, იარაღების რაჩხარუჩხი, როდის გაიფანტება თოფის წამლის კვამლი შორეულ-აღმოსავლეთში? როდის მოიწმენდს იქ ცა და რა გამოჩნდება ამ მოწმენდილ ცის ქვეშ? რას წაიღებს და რას მოგვიტანს ეს საშინელი, შესაზარი ომი?

შესაზარიო, ვამბობ, მაგრამ ეგ სიტყვა სუბიექტიურია და შეიძლება, ომი ყველასათვის შესაზარი არ იყოს. პეტერბურგში ზოგიერთი გაზეთი აღტაცებით ელოდა ომს და მიეშურებოდა მისკენ, ზოგიერთი კი უიმედოდ უყურებდა და გაურბოდა ომს. რადა? ამ ომისაგან (და საზოგადოდ ყველა ომისაგან) გამოწვეული სულიერი მდგომარეობა შეიძლება შევადაროთ იმ სულიერ მდგომარეობას, რომელსაც იწვევს ჩვენში მუზიკალური ხმები. მუზიკას უწოდებენ გამოურკვეველ ასოციაციების ხელოვნებას, წინააღმდეგ მხატვრობისა, პლასტიკისა, პოეზიისა, რომლებიც აღძრავენ ჩვენში გამორკვეულ, განსაზღვრულ ასოციაციებს. მუზიკა გვიხატავს სულიერს მოძრაობას და არა გრძნობებს. სულიერი მოძრაობა კი შეიძლება იყოს სხვა და სხვა შინაარსის. გლიუკის ერთ ოპერაში ორფეე მღერის არიას: „მე დავკარგე ჩემი ევრიდიკა, არაფერი არ შეედრება ჩემს უბედურებას“. მუსიკოსები ამბობენ, რომ ამავე არიის მუსიკისათვის თამამად შეიძლება ვიხმაროთ სულ სხვა სიტყვები: „მე ვიპოვნე ჩემი ევრიდიკა და არაფერი არ შეედრება ჩემს სიხარულსო“. ეს იმიტომ, რომ გლიუკის არია გვიხატავს ძლიერ სულიერს მოძრაობას მხოლოდ, მაგრამ რა გამოიწვია ეს სულიერი მოძრაობა: სიხარულმა, თუ მწუხარებამ, ამას სიტყვები გვეტყვიან მარტო. მომღერალს შეუძლია იმღეროს წყნარად და რბილად, მაგრამ არ შეუძლია იმღეროს სასოებით და მორჩილებით; შეუძლია, იმღეროს აჩქარებით და მტკიცედ, მაგრამ არა—შურისძიებით. გენდელმა თავის „მესიის“ რელიგიურ პიესებისათვის ისარგებლა იმ ეროტიულ დუეტებით, რომლებიც შეთხზა წინად ერთის პრინცესისათვის.

მუსიკა გვაძლევს სულიერ მოძრაობას და არა მის შინაარსს. ასეთია დღევანდელი ომიც... ვის მოსწონს, ვის არა. ვინ იცინის, ვინ სტირის ომის გამო.

* *

ომის ზარბაზნების ხმები სხვა და სხვა ნაირად მოქმედობს სხვა და სხვა ყურზე. ეს აშკარაა: ზოგი თავის ნებით მიდის ომში, ზოგს ომის სახელის გაგონებაც კი ეშინი

დიდი ომია შორეულ-აღმოსავლეთშ პატარა ომებს ჩვენშიაც ბევრს ვხედავ თუ რუსეთი და იაპონია ერთი-მეორეს ღი საერო ინტერესებს ედავებიან, ჩვენში გაუთავებელი პატარა ომებია გროშებისათვის, შეურაცხყოფილის ულირსის ღირსებისათვის, წართმეულის უპატიოსნო პატიოსნებისათვის, და სხვათა და სხვათა ამგვართათვის, რისთვისაც არა ჯერ არს ყვირილი და ჩხუბი!..

საკმაო ქვა-ნახშირი არა აქვს დამზადებული და ახლო-მახლო ნახშირის მადნებიც არსადაა. ფლოტი-კი მეტად დიდ-ძალ ნახშირსა ჰნთქავს. თითო დიდი ჯავშნიანი გემი დღე-ღამეში 18 ათას ფუთს საუკეთესო კარდიფის (ინგლისის) ნახშირსა სწვავს. დასასრულ, რუსეთს მარტო ორი დოკი აქვს დაზარალებულ გემების შესაკეთებლად: პორტ-არტურსა და ვლადივოსტოკში. იაპონიას-კი დოკიც გაცილებით მეტი აქვს და ქვა-ნახშირიც ჰარბადა აქვს დამზადებული. ნახშირის მადნებიც ბევრია იაპონიაში.

როგორც დეპეშებიდან ვიცით 26 იანვარს აქეთ, იაპონელებმა 3 რუსის ჯავშნიანი გემი დააზიანეს და 4 კრეისერი, რუსებმა კიდევ იაპონიის 6 გემი დააზიანეს სუმბუქად.

იაპონიის საელჩოს მოქმედება ლონდონში. „ნოვოე ვრემია“-ს დეპეშით ატყობინებენ ლონდონიდან: „იაპონიის დიპლომატია ეხლა უფრო ბეჯითად მოქმედებს. ლონდონის საელჩომ ფრანგულ გაზეთების კორესპიანდენტებიც მიიზიდა. კორესპონდენტები იაპონიის მხარეს გადავიდნენ და თავიანთ წერილებში ამტკიცებენ, იაპონია ყველაფერში მართალიაო. გუშინ იაპონიის საელჩოს ერთმა წევრმა საჯარო ლექცია წაიკითხა იაპონიასა და შორეულ-აღმოსავლეთის საქმეზე. ამბობენ, იაპონელ დიპლომატებს საჯარო კრებებზეც მიიწვევენ სიტყვების წარმოსათქმელადაო. ეტყობა, იაპონელ დიპლომატებს სწადიათ, რომ ინგლისის საზოგადოებაზე უფრო დიდი გავლენა მოიპოვონ“.

„**იაპონიას არავისი დახმარება არა სჭირია**“. ჯერ კიდევ ომის გამოცხადების წინ, იაპონიის ელჩს ბარონ გაიაშის ლონდონში უთქვამს ფრანგულ გაზ. „მატენ“-ის კორესპონდენტისათვის: „თქვენ ამბობთ, რუსეთმა ბევრი რამ დაგითმოთო. რუსეთს არაფერიც არ დაუთმია. რასაც ეხლა გვპირდება, წინადაც ბევრჯელ დაგვპირებია. რუსეთის პირობებს იაპონია არ დასჯერდება, უსათუოდ ომს გამოაცხადებს. ომში იაპონიას არავისი დახმარება არა სჭირია, არც თავის მოკავშირე ინგლისისა, არც სხვისა. ჩვენ გვინდა მარტოდ მარტო შევებათ რუსეთს და ძველი ანგარიშები გავუსწოროთ“.

იაპონია და ჩინეთი. „სავ.-სატელ. სააგენტო“ იუწყება: „რამწამს იაპონიის ელჩმა ბ-მა კურინომ 24 იანვარს ბძანება მიიღო თავის მთავრობისაგან, რუსეთთან მოლაპარაკება შესწყვიტე და შინ დაბრუნდიო, ეს ამბავი მაშინვე რუსეთის გარეშე საქმეთა მინისტრს აცნობა და ამავე დროს ტელეფონით ჩინეთის ელჩსაც შეატყობინა. ჩინეთის ელჩი ფეხით გაქანდა კურინოს სანახავად. ცის ქვეშეთის იმპერიის ელჩი მეორე დღეს, კვირასაც სამჯერ ესტუმრა კურინოს და დიდხანს ეთათბირა. სხვა სახელმწიფოების ელჩები კი არც ერთი არ მიიღო კურინომ“.

პეკინიდან დეპეშით ატყობინებენ ინგლისურ გაზეთებს: „ჩინეთის უმთავრესმა ცენზორმა მოხსენება წარუდგინა დედოფალს, ხუნხუზები შევაიარაღოთ და რუსეთის წინააღმდეგ საბრძოლველად გავგზავნოთო.

ამერიკა და იაპონია. „ნოვოე ვრემია“-ს დეპეშით ატყობინებენ: „25 იანვარი. ფილადელფიაში დოქტორ კინმა საჯაროდ სიტყვა წარმოსთქვა და თავის მსმენელებს აღფრთოვანებით უთხრა: „გახსოვდეთ, რომ ერთად-ერთი დიდი საერთაშორისო საქმე არსებობს: ესაა ანგლო-საქსების ბრძოლა რუსებთან. რამწამს შორეულ-აღმოსავლეთში პირველი ზარბაზანი გავარდება, ამერიკამა და ინგლისმა მაშინვე დიდი დახმარება უნდა გაუწიონ იაპონიას“.

იგივე გაზეთი იუწყება: „ამერიკის მთავრობამ ჯერ კიდევ წარსულ დეკემბერს 5 ნაღმიანი გემი და კრეისერი „ბუფალო“ გაჰგზავნა შორეულ აღმოსავლეთს თავის ესკადრის გასაძლიერებლად. ამ გემებმა ატლანტის ოკეანე ხმელთა და შავი ზღვა გაიარეს და ეხლა სუეცის არხს მიატანეს. ამ ამბავმა ყველანი დააფიქრა.

ახალი ამბავი

◆ გუშინ ტფილისის ხელოსანთა ამქრებმა მამასახლისის რაფაელოვისა და უსტაბაშების მეთაურობით **დიდი პატრიოტული მანიფესტაცია** გამართეს ტფილისში. ამქრებმა სიონის ტაძარში გადაიხადეს პარაკლისი და შემდეგ ბაირაღებით, ზურნითა და „ურა“-ს ძახილით ერევნის მოედნიდან სასახლის ქუჩით გოლოვინის პროსპექტზე გაიარეს.

◆ ტფილისის ქალაქის გამგეობას 29 იანვარს თავ. ჩერქეზიშვილმა წინადადება მისცა, ა. ს. გრიბოედოვის გარდაცვალებიდან 75 წლის შესრულების გამო დააარსოს სასწავლებელი **გრიბოედოვის სახელობაზე**. გამგეობამ ერთხმად მიიღო წინადადება თავ. ჩერქეზიშვილისა და დაადგინა სთხოვოს საბჭოს, გადასდოს ფული აღნიშნულ სკოლის დასაარსებლად.

◆ ამას წინად დონის როსტოვის საბადოსნო საზოგადოებას შუამდგომლობა აღუძრავს და უთხოვნია, ნება მიეცეს შეღავათიანის პირობებით გახსნას ქარხანა **თამბაქოს ექსტრატის** მოსამზადებლად (წამალია მწერებისაგან მცენარეების დასაცველად). ამ საკითხის გამო ფინანსთა სამინისტრო სახელმწიფო საბჭოს წარუდგენს მოხსენებას, რომლის ძალითაც ნებადართულ იქმნება თამბაქოს ექსტრატის დამამზადებელ ქარხნების დაარსება. ფინანსთა სამინისტროს მიერ შემუშავებულ წესით: 1. ქარხნებს შეეძლებათ თამბაქო და იმისი ღერი აღნიშნულ წამლის შესამზადებლად შეიძინონ თავისუფლად საქციზო გარდასახადის გაუღებლად, მაგრამ წამლისათვის საჭირო მასალის ერთი ადგილიდან მეორეში გადატანისა, შენახვისა და აგრეთვე ექსტრატის გასასყიდად გამოტანის საქმეში ქარხნის პატრონნი უნდა დაემორჩილნენ იმ წესებს, რომელიც აწ მოქმედებს საქციზო გადასახადების მოკრების დროს; 2. ექსტრატის დამზადების შემდეგ უვარგისი ნაწილი უნდა მოისპოს საქციზო უწყების მოხელეთა თანადასწრებით; 3. ქარხნების დაარსების დროს უნდა დაცულ იქმნას ყველა წესები, რომელიც შემოღებული იქმნება მთავრობის მიერ და 4) ქარხნის გამგეობა ვალდებული იქმნება იკისროს ყველა ხარჯი, რომელიც საჭირო იქნება ქარხანასთან საქციზო მოხელეთა შესანახავად და სხვა. რადგან ამ საკითხს დიდი მნიშვნელობა ექნება მეთამბაქოეთათვის და, საზოგადოდ, იმ ადგილის მცხოვრებთათვის, სადაც თამბაქოს მოყვანას მისდევენ, მიწათ-მოქმედების სამინისტრომ სთხოვა კავკასიის სასოფლო-სამეურნეო საზოგადოებას, განიხილოს ეს საკითხი და თავისი მოსაზრებანი წარუდგინოს სამინისტროს.

◆ კავკასიის სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების კომისიამ უკვე გაჰგზავნა ათი დიდი ყუთი ექსპონატებისა ამერიკაში სან-ლუის საერთაშორისო **გამოფენაზე**.

◆ რიყის ქუჩისა და დესიმონოვის **მოედნის მცხოვრებლებმა** საერთო განცხადება წარუდგინეს ქალაქის მოურავს. სწერენ, ეს რამდენიმე წელიწადია ვთხოვეთ გამგეობას ჩვენისავე ხარჯით გაკეთებინა წყლის სადენი არხი, მაგრამ აქამდე ყურადღებას არ გვაქცევს. ამ დღეებში გაზეთებით შევიტყვეთ, რომ ჩვენს ქუჩაზე არხის გაყვანის შესახები საკითხი გამგეობას დაუკავშირებია წყალდიდობისაგან რიყის დასაცველად განზრახულ კედლის პროექტთან და ამ რიგად საქმე კიდევ რამდენისამე წლით გრძელდებაო. მცხოვრებნი ხელ-ახლა სთხოვენ გამგეობას გააწეროს ფული და არხი გააკეთებინოს. ქალაქის მოურავმა გუშინვე ეს განცხადება გადასცა საამშენებლო განყოფილებას და დაავალა დააჩქაროს წყალდიდობისაგან დასაცავად კედლის პროექტისა და არხის გეგმის შედგენა.

◆ **თელავი.** 29 იანვარს მართმადიდებელთა სასაფლაოზე სამარიდან ამოიღეს გასაჭრელად 24-ში დასაფლავებულ მასწავლებელ ქალის გვამი, რომლის უცაბედმა სიკვდილმა სხვა-და-სხვა ლაპარაკი გამოიწვია.

დღევანდელ №-თან ერთად ხელისმომწერთ ურიგდებათ **სურათებიან დამატების** მე-189 ნომერი, რომელშიაც მოთავსებულია: „სოფლად“, ს. ყიფიანისა; სურათები: იმპერატორი სრულიად რუსეთისა ნიკოლოზ II; იაპონიის იმპერატორი მუცუკიტო; რუსეთის ცხენოსანი ჯარი, ნიუ-ჩუანს მიმავალი; „იაპონია და რუსეთი“; იაპონიის გემები; პორტ-არტური და ორი კარიკატურა.

ქუთაისის ახალი ამბები

◆ 30 იანვარს მთავარ-ანგელოზის ეკლესიაში იმერეთის ეპისკოპოსის ყოვლად სამღვდელო ლეონიდის მიერ, გუბერნატორის, სამხედრო და სამოქალაქო დაწესებულებათა წარმომადგენლებისა და გარეშე საზოგადოების თანადასწრებით გადახდილ იქმნა პარაკლისი და წაკითხულ ხელმწიფე-იმპერატორის მანიფესტი რუსეთსა და იაპონიას შუა ომის დაწყებისა გამო. პარაკლისის გადახდა და მანიფესტის წაკითხვა მოხდა აგრეთვე სხვა-და-სხვა სასწავლებლებშიაც.

◆ 29 იანვარს, ქალაქის გამგეობის დარბაზში მოხდა ქალაქის საბჭოს საგანგებო სხდომა, რომელსაც ქალაქის მოურავმა დ. ა. ლორთქიფანიძემ აუწყა რუსეთსა და იაპონიას შუა ომის დაწყების ამბავი და წინადადება მისცა გაეგზავნოს შინაგან საქმეთა სამინისტროს შემდეგის შინაარსის დეპეშა: „ქუთაისის ქალაქის საბჭოს საგანგებო კრებამ, რომელიც მოწვეული იყო ჩემგან შორეულს აღმოსავლეთში რუსეთსა და იაპონიის შუა სამხედრო მოქმედების დაწყების გამო, მომანდო ვსთხოვო თქვენს მაღალს აღმატებულებას განართხოს ფერხთა წინაშე მისის იმპერატორებითის უდიდებულესობისა უქვეშევრდომილესნი გრძნობანი ქუთაისის ქალაქის მცხოვრებთა. ვასრულებ-რა ქალაქის საბჭოს ხსენებულ მონდობილებას, ვკადნიერდები მოგახსენოთ, რომ როგორც ქუთაისის,

---

ძველი ამბავია; ძველია ისიც, რომ ომის დროს არა-მეომრებიც მეომრობენო. შეიძლება, ამით აიხსნება ვილაც ი—ევის სტუდენტის საქციელი ქუთაისში. ეს სტუდენტი კაი ხანია ჩამოსულა ქუთაისის ბულვარში თავის მეუღლითურთ. არ გეგონოთ, რომ რუსეთის ცივს ჰავას გამოქცეოდეს სტუდენტი. სულ სხვა გარემოებას აუძულებია, „ლტოლვილ ყოფილიყო მეცნიერების ტაძრიდან“: თურმე უნივერსიტეტიდან მისი დღევანდელი გამოქცევა აუცილებელი ყოფილა მისი მომავლის კარიერისათვის...

ღმერთმა მშვიდობა მისცეს: მე მის კარიერასთან ხელი არა მაქვს! მხოლოდ თუ ყურადღება მივაქციე, მარტო იმიტომ, რომ მისი ახირებულის საკარიერო შეხედულების მსხვერპლი შექმნილა ერთი ავადმყოფი მრეცხავი ქალი. სტუდენტს და მის მეუღლეს მრეცხავისათვის სარეცხი მიუციათ. უკანასკნელს საქმე რომ შეუსრულებია, ფული მოუთხოვნია. მაგრამ ი—ევებს უთქვამთ: ფულს მოგცემთ-კი არა, პერანგები მოგვპაროო. მრეცხავს რომ ამაზე სიტყვა შეუბრუნებია, კარიერისტებს ეს არ მოსწონებიათ: ვილაც დედაკაცი როგორ გვიბედავს ლაპარაკსაო, დაუწყიათ მისთვის ლანძღვა-გინება, მერე სცემიან და ბევრი უცემიათ ავადმყოფ მრეცხავისათვის, რომელიც ძლივს დგებოდა ფეხზე და თავის ნაშრომის ფასით უნდოდა ქმრთან წასულიყო.

სად არის პოლიცია, სად არის „სუდიაო?“ იკითხება საბრალო მრეცხავი და იმდენად იმას-კი არა სწუხს, რომ გალახეს, არამედ იმას, რომ გალანძღეს ყოვლად უშვერის სიტყვებით და ისიც „განათლებულმა“ ადამიანებმა.

* *

მოიპოვებს, თუ არა ქუთაისელი მრეცხავი სამართალს, არ ვიცი. მაგრამ ის-კი უექველია, რომ იგი ვერ მოიპოვებს ქუთაისელ პოლიციელებს, რომლებიც სულ სხვა საქმეებში არიან გართულნი.

დიდი ხანი არაა, რაც ტფილისის სამოსამართლო პალატაში გაირჩა ერთი საინტერესო პოლიციური საქმე. ამ ერთის წლის წინად ქუთაისის ერთს დუქანში შესულიყვნენ უფროსი პოლიციელი ბ. ქავთარაძე და მისი ამხანაგები, დამთვრალიყვნენ და მერე ქუჩა-ქუჩა დაეწყოთ სიარული. მთვრალს ხომ ყველაფერი გადაბრუნებულად ეჩვენება: ჩვენი პოლიციელები თვითონ იყვნენ მთვრალები, მაგრამ ეგონათ, რომ მთელი ქუთაისი იყო დამთვრალი, თვითონ ვერ დგებოდნენ ფეხზე, ეგონათ, რომ მთელი ქვეყანა იქცევაო, თვითონ არღვევდნენ მშვიდობიანობას, ეგონათ-კი, რომ ყოველი გამვლელი და გამომვლელი მშვიდობიანობის დამარღვეველი, მეამბოხე და საშინელი დამნაშავე იყო. განსაკუთრებით ასეთებად მოეჩვენათ მათ ქუჩაზე მიმავალი პატარა ბავშვები: პოლიციელები მაშინვე ეცნენ ბავშვებს და დაუწყეს ცემა: „აი, თქვე ავაზაკებო, როგორ ჰბედავთ აქ სიარულსაო!“ და უბედურ დღესაც დააყენებდნენ ბავშვებს, რომ გარეშე პირები არ მიჰშველებოდნენ საცოდავებს.

ყველა ეს ამბავი დაწვრილებით იყო დაწერილი მაშინ ჩვენ გაზეთში, როგორც ყველასათვის საყურადღებო და ჩვენის „მშვიდობიანობის დამცველთა“ დამახასიათებელი მოვლენა.

გმირ-პოლიციელებს, ბ. ქავთარაძეს და ამხანაგობას არ ეამათ, რასაკვირველია, ეს და დიდის მუქარით უჩივლეს, როგორც იმათ, ვინც მიეშველა მაშინ ბავშებს, ისე ჩვენს გაზეთსაც. პირველებს უჩივოდნენ—მშვიდობიანობა დაარღვიეს, პოლიციის წინააღმდეგობა გაგვიწიეს, ამბოხებას ახდენდნენო; გაზეთს კი უჩივლეს, ცილი დაგვწამა, შეურაცხყოფა მოგვაყენაო.

მკითხველს ახსოვს, ალბად, რომ სასამართლომ გაამართლა ბავშების დამცველნიც და გაზეთიც. აქედან რა შეიძლება დავასკვნათ? თქვენის ტვინისათვის მიმინდვია, მკითხველო, ასეთი მძიმე ტვირთი...

* *

ჩემს საახალწლო ფელეტონში, სხვათა შორის, მოყვანილი მქონდა, ბ. დ—იას აზრები მეგრელების შესახებ. დ—იას ურცხვ აზრებს ძლიერ გაუჯავრებია ერთი მეგრელი თ-ი გ. დგ—ძე, რომელიც შემდეგ წერილს გვწერს პალმის გულითადის მეგობრის და თანამშრომლის დ—იას წინააღმდეგ: „სწორედ პირველი გაგონება იყო, რაც წავიკითხე თქვენის გაზეთის ახალწლის ფელეტონში. ყველა იქ მოყვანილმა სიტყვებმა მეტად ცუდი შთაბეჭდილება იქონია ჩემზე, მაგრამ ბ. დ—იას—არა მკითხეს სიტყვები ყელში მაქვს გახირებული და ვერ მომინელებია. არ შემიძლია პასუხი არ გავსცე მე, ერთმა მეგრელთაგანმა და არ აღვიარო მეგრელების აზრი შესახებ ქართულის წირვა-ლოცვის და წერა-კითხვის მოსპობისა. დ—ია ბრძანებს: მეგრელები ქართველები არ არიანო. რომელ მეგრელებზე ამბობს ამას? თუ სადმე, სხვა ქვეყანაში ცხოვრობენ ასეთი მეგრელები, არ ვიცი; თორემ სამეგრელოში, ქუთაისის გუბერნიაში ასეთი მეგრელები არ არიან. ჰო, მართალია, თვითონ დ—ია ბრძანდება ასეთი მეგრელი, მაგრამ ყოველმა კანონმა და წესმა იცის გამორიცხვა, გამოკლება!.. სამეგრელოდან გაქრისტიანებიდან ქართული წირვა-ლოცვა ყოფილა და არის. იყო დრო, როდესაც სამეგრელოს მთავრებს შეეძლოთ სამეგრელოში ქართული წერა-კითხვა და წირვა გაედევნათ, მაგრამ რადგან სამეგრელოს მთავრები და მათი ქვეშევრდომნი იგულისხმებდნენ თავიანთ თავს ნამდვილ ქართველებად, ფიქრადაც არ მოსვლიათ ქართულის მაგიერ სხვა ენაზე შემოღება წერა-კითხვისა ან წირვა-ლოცვის. სამეგრელოს მთავრებმა, როგორც ზეპირ გადმოცემით და ძველების ნაამბობით ვიცით, სრულიად არც იცოდნენ მეგრული ლაპარაკი და არც საჭიროებდნენ, რადგან მართვა-გამგეობა, ყოველივე განკარგულება, წირვა-ლოცვა, მიწერ-მოწერა და სხვა ქართულ ენაზე იყო. დღესაც სამეგრელოში ყოველივე ხელწერილი, თამასუქი, პირობა, ყიდვა-გაყიდვა, ურთიერთ ხელშეკრულება, მიწერ-მოწერა ქართულ ენაზე სწარმოებს. მიუხედავად იმისა, რომ სამინისტროს სკოლებში ქართულს არ ასწავლიან, ყოველმა ბავშმა ჩინებულად იცის ქართული წერა-კითხვა და ლაპარაკი... ბ. დ—ია ოცნებობს: „თქვენ ოღონდ სლავიანური წირვა ლოცვა დააწესეთ და ხალხს მე დავიყოლიებ მუქარითო!“ ასე ილაპარაკებს მხოლოდ ყოვლად დაცემული ადამიანი! ბ. დ—ია, ხმალი და „როზგი“ გინდათ შეიტანოთ ეკლესიაში?.. განა მეგრელები შეუშინებლად არ არიან თავგამოდებით წინააღმდეგნი ქართულის ენის განდევნისა სამეგრელოდან?..“

* *

გორიდან მივიღე რუსულად დაწერილი ხელმოუწერელი წერილი. ავტორი გვწერს: რად გიკვირთ, რომ გორის ბიბლიოთეკაში არც ქართული წიგნებია, არც ქართული ჟურნალ-გაზეთები, არც ქართველი მწერლების სურათებიო. გორის ბიბლიოთეკა არის უფასო სამკითხველო და როგორც ასეთი ემორჩილება უფასო ბიბლიოთეკებისათვის ნება დართულ სიას; ამ სიაში კი არ არსებობს არც ქართული მწერლები, არც ქართული წიგნები და გაზეთებიო...

მინდოდა რაღაცა მეთქვა, მაგრამ... მაგრამ გავჩუმდები.

შეიძლება, მეც თვითონ არა ვარ ნებადართული...

სიტყვა

ისე მთელის გუბერნიის მცხოვრებნი, გამსჭვალულნი თავის სალმერთებელ მეფისადმი განუსაზღვრელის სიყვარულისა და ქვეშევრდომობის გრძნობით, შეგნებნი იმ ისტორიულ მომენტის მთელის სიდიადისა, რომელსაც ამ ჟამად განიცდის ჩვენი სახელმწიფო, და ერთგულად მიმდევარნი წინაპართა ტრადიციებისა—მზად არიან ყოველგვარ მსხვერპლისათვის, რომ ამით დაიცვან სახელი, ღირსება და ინტერესები ჩვენის საზოგადო სამშობლოსი.“ საბჭომ ერთხმად მიიღო ქალაქის მოურავის წინადადება და დაადგინა: ხსენებული დეპეშა უცვლელად გაეგზავნოს შინაგან საქმეთა სამინისტროს.

◆ 2 თებერვალს, კნეინის ა. გ. მხეიძის თაოსნობით, ქუთაისის საკრებულოს დარბაზში ეპისკოპოსის გაბრიელის სახელობის ეპარქიალურ სასწავლებლის ღარიბ მოწაფექალთა სასარგებლოდ გამართულ იქმნება საცეკვაო საღამო სამუსიკო და სალიტერატურო განყოფილებით.

რუსეთის ქრონიკა

◆ როგორც „გრაჟ.“ გადმოგვცემს, დაიწყო კრება პირველ სერიის გუბერნატორებისა. მალე საგუბერნიო ქალაქებში განსაკუთრებული თათბირები მოხდება საგლეხო კანონთა ახალ პროექტის განსახილველად. გუბერნატორების ეხლანდელმა კრებებმა უნდა შეიმუშაოს უმაღლესი საფუძველნი, რომელნიც მომავალ თათბირებს წარედგინება განსახილველად. თითო სერიაში 20 გუბერნატორი იქმნება.

◆ ჰელსინგფორსში, როგორც „ბირჟ. ვედ.“ გადმოგვცემს, ამას წინად გაიფიცნენ და მუშაობაზე ხელი აიღეს ტრამვაისა და ომნიბუსების კონდუქტორებმა. ეს გაფიცვა ჯერაც არ დამთავრებულა. ტრამვაის გამგეობას ახალი კაცები მიუწვევია და შესდგომია იმათ სწავლებას.

◆ „კიევ. ოტკლ.“-ში დაბეჭდილია კიევის გუბერნატორის დადგენილება: „1. ყველა კრება რისამე სათათბიროდ ან სამოქმედოდ საზოგადო მშვიდობიანობის წინააღმდეგ აკრძალულია; 2. ამ კრებების მონაწილენი ადმინისტრატიულის წესით ან სამის თვით იქმნებიან დაპატიმრებულნი, ანაც 500 მანეთით დაჯარიმებულნი; 3 ასეთსავე პასუხის გებაში იქმნებიან მიცემულნი იმ სახლისა და სადგომების პატრონები, სადაც კრება მოხდება“.

◆ ხელმწიფე-იმპერატორმა უმაღლესი თანხმობა განაცხადა, ფინლიანდიის სენატის ბეჭედს ამის შემდეგ ლათინურის წარწერის მაგივრად რუსული წარწერა ჰქონდეს: „საიმპერატორო ფინლიანდიის სენატის ბეჭედი“.

◆ წიგნების გამომცემელმა ამხანაგობამ „ზნანიე“-მ ჩეხოვის ახალი პიესა „ვიშნევი სად“ გამოსაცემად იყიდა. ჰონორარად მისცა 5000 მანეთი.

◆ ხელმწიფე-იმპერატორმა ბუხარის ემირს საკუთარ მხლებელთა რაზმისთვის ორი ზარბაზანი აჩუქა.

◆ გადასახლებულ ებრაელთა რიცხვი თანდათან მრავლდება. ებრაელები ამერიკაში მიდიან და ვარშავაზე გაივლიან ხოლმე. ყოველ კვირა ებრაელის რამდენიმე ათი და ასი ოჯახი გაივლის ხოლმე ვარშავაზე.

◆ ერთ ექიმის გამოანგარიშებით, მოსკოვში წარსულ წელს ყოფილა 662 ფაბრიკა, სადაც 110.770 მუშა მუშაობდა. ამდენი მუშებისათვის მეფაბრიკეებს საავადმყოფოებსა და ექიმობაზე დაუხარჯავთ სულ 324.285 მანეთი. ზოგიერთ ფაბრიკას მთელი წლის განმავლობაში ექიმობაზე დაუხარჯავს მხოლოდ ერთი მანეთი.

◆ „ვესტ. იუგა“-ში დაბეჭდილია წერილი ფელდშერ ტარასოვისა, სადაც ნათქვამია, რომ ქალ. ალექსანდროვსკში ყრუ-მუნჯთა სასწავლებლის აღმზრდელნი მოსწავლე ურჩ-ბავშვებს შემდეგ ზომებით ამშვიდებდნენ: პირში ძალ-დატანებით ქინაქინას ასხამდნენ და ტანზე სკიპიდარის ცომისაგან გაკეთებულს გორჩიჩნიკებს ადებდნენ.

თეატრი

ქართული წარმოდგენა. ოთხშაბათს საარტისტო საზოგადოების და ხუთშაბათს ჩვენს თეატრში ქართულმა დრამატიულმა დასმა ორჯელ ზედი-ზედ წარმოადგინა ა. სუმბათაშვილის „ღალატი“.

ეს უკანასკნელი წარმოდგენები ბევრად, გაცილებით სჯობდნენ პირველს და ის სასოწარკვეთილება, რომელსაც ჩვენი საზოგადოება პირველი წარმოდგენის შემდეგ მიეცა, სულ ცოტა რომ ვსთქვათ, აჩქარებული, წინასწარი იყო. და თუ პიესა პირველად ისე საშინლად წაახდინეს, ამის მიზეზი არტისტთა უვარგისობა-კი არა, მათი მოუმზადებლობა იყო და ამისი მიზეზი კიდევ ის იყო, რომ, როგორც წინადაცა ვსთქვით, დრამატიული საზოგადოების გამგეობის აჩქარება და მოუმზადებლივ დასის საქვეყნოდ გამოყვანა და ამასთან სრულიად განსაკუთრებულს, არა ჩვეულებრივს გარემოებაში,—სახაზინო თეატრში, გალა—წარმოდგენაზედ. საზოგადოებაც ამ წარმოდგენას განსაკუთრებულ გრძნობებითა და წინათვე აღელვებული, გატაცებული და რაღაც გაუგებარის მოლოდინით აღჭურვილი დაესწრო... მკითხველს კარგად ახსოვს, რომ ეს იმედები ფარდის პირველ აწევისთანავე და მსახიობთ პირველ სიტყვებისა—ჩურჩულისათანავე გაცრუვდნენ, დაწყებიდან წარმოდგენის ბოლომდის საზოგადოება გულ ჩათუთქული, დაუკმაყოფილებელი დარჩა.

ეხლა-კი არტისტები მომზადებულან, როლები ყველას საუცხოვოდ შეუსწავლია და საერთოდ მაყურებელზედ კარგს შთაბეჭდილებას ახდენენ და გუშინ ჩვენს თეატრში, რომელიც თავით ბოლომდე მაყურებლით სავსე იყო, წარმოდგენამ საზოგადოება აღტაცებაში მოიყვანა. ძალიან კარგი იყო ბ-ნი ყიფიანი,—ანანია, მან მომაგონა მეძველის დროის კოტე ყიფიანი; კარგი იყო აგრეთვე ბ-ნი გუნიაც—ოთარ-ბეგი, ადგილ-ადგილ საუცხოვოდ, დიდის გრძნობით თამაშობდა. ქ-ნი მესხიც—ზეინაბი ეხლა უკეთ თამაშობს, მაგრამ მაინც ჯეროვანს შთაბეჭდილებას ვერ ახდენს—ლაპარაკის ერთგვარი კილო, როგორღაც ნაწყვეტ-ნაწყვეტი ლაპარაკი მსახიობს ხელს უშლის. კარგად შეასრულა გაიანეს როლი ქ-ნმა დავითაშვილმა. ბ-ნ სვიმონიძეს—დათოს არა უჭირდა—რა, არა უჭირთ რა აგრეთვე ბ-ნ ივანიძეს—საბას და ერეკლეს როლის ახალ ამსრულებელს—ბ-ნ ჩარკვიანს. კარგი რუქაიაა—ქ-ნი კარგარეთელი. ბესოს როლს ამ უკანასკნელს ორს წარმოდგენაში ბ-ნ მესხის მაგიერ თამაშობდა ბ-ნი ვ. აბაშიძე. აბაშიძე კარგად თამაშობდა, მაგრამ ტანსაცმელი, მგონია, შეუფერებელი ეცვა. არ მომეწონა კიდევ ის, რომ ამ გამოცდილმა მსახიობმა, მეოთხე მოქმედებაში „ლოთებო ნეტავი ჩვენა“ იმღერა. ეს სიმღერა წარსულს საუკუნეშია შეთხზული და არ იმღერება მაშინ, როცა მოქმედება საშუალო საუკუნის დროში სწარმოებს.

—

ოზურგეთი. 25 იანვარს სცენის მოყვარეებმა წარმოადგინეს სამ მოქმედებიანი დრამა „დამნაშავეა“ და „ჩათრევას ჩაყოლა სჯობია“. არა უშავდა-რა ტომას ლეერის როლის ამსრულებელს, ბებურიშვილს და აგრეთვე ლაშელს. დანარჩენნი ძლიერ სუსტობდნენ. არც ერთმა რიგიანად როლი არ იცოდა. რაც პირზედ მოადგებათ, იმას ამბობენ. იმედია, შემდეგისთვის მაინც უკედ მოემზადებიან.

ოცნება

—

ჭიათურა. როგორც იქნა, დიდის მოლოდინის შემდეგ, ვეღირსეთ ერთ იაფ-ფასიან წარმოდგენას. 27 იანვარს ქუთაისის დრამატიულ დასის არტისტების ქ-ნ მდივანის და ბ-ნ ზარდალიშვილის გამგეობით გაიმართა იაფ-ფასიანი წარმოდგენა. ითამაშეს: „ბაიყუში“, კომ. ცაგარლისა და „მშვენიერი ელენეს მაძიებელნი“ მისივე. „ბაიყუშ“-მა საზოგადოდ მხიარულად ჩაიარა, მხოლოდ ზარდალიშვილისათვის შეუფერებელი იყო გასპარას როლი. „მშვენიერი ელენეს მაძიებელ“-მაც რიგიანად ჩაიარა. ახლო მომავალისათვის ადგილობრივი სათეატრო დარბაზი ელექტრონით იქნება განათებული.

ლადო გუბელი

საზღვარ-გარედ

(ჟურნალ-გაზეთებიდან)

ოსმალეთი ომის თადარიგშია. „პეტერბურგსკია ვედომოსტი“-ს სალონიკიდან ატყობინებენ: „მონასტირის სამხედრო წრეები ამ ჟამად მეტად მხნედ იქცევიან. ოსმალეთი ყოველ ღონეს ღონობს, რომ გაჭირვების დროს, თავისი საზღვრები ავსტრიისაგანაც დაიცვას და ყველა პატარა სახელმწიფოებისაგანაც. სათადარიგო ჯარის კაცებისაგან მთელ 16 სამხედრო დივიზიას შეადგენენ, ანუ 260 ბატალიონს. ადრიანოპოლში მდგომ ჯარის უფროსად მემდუხ-ფაშა დანიშნეს. მთელის ჯარის მთავარ-სარდლად კი ზეიფულა-ფაშა. ყველა უნიჭო, უვარგის ოფიცერსა სცვლიან და იმათ მაგიერ ნიჭიერ ოფიცრებსა ჰნიშნენ. ოფიცრებს ბძანება აქვთ მიცემული, ჯარის-კაცებს ნურსად დაითხოვთ, მუდამ მზადა გყავდეთო. მონასტირში რვა სრული არტილერიის ბატარეა გაჰგზავნეს. ყველაფრიდან ცხადად სჩანს, რომ ოსმალეთი დიდ ომს მოელის. ამას წინად მთავრობამ 300 ათასი მაუზერის თოფი იყიდა. 70 ათასი თოფი კიდევაც მიიღეს სტამბოლში და ამ დღეებში მონასტირში გაჰგზავნიან.“

„სავაჭრო-სატელეგრაფო სააგენტოს“ დეპეშით ატყობინებენ სოფიიდან: „23 იანვარი. ხონთქარმა ბძანება გასცა, თუ ოსმალეთის მეგემეთა საზოგადოება „მასუსე“ ჯარების გადაყვანას ვერ აუვა, უფროსებმა ჯარი „ლოიდის“ საზოგადოების გემებით გადმოიყვანონ ევროპაშიო. ამ ბძანების შემდეგ აქ ხმა გავრცელდა: ოსმალეთის მთავრობა „ლოიდისაგან“ 16 გემს ქირაობს, რომ მომავალ მარტში მცირე აზიიდან ევროპაში ჯარები გადმოიყვანოსო.

მაკედონიის რეფორმები. „სავ.-სატელ. სააგენტოს“ ატყობინებენ ბერლინიდან: ოსმალეთის მთავრობამ ავსტრიისა და რუსეთის ელჩებს ნოტა ჩააბარა და გამოუცხადა, ოსმალეთი თანახმა არაა, რომ სახელმწიფოებმა მაკედონიის რეფორმებს კონტროლი დაუწესონ და მაკედონიაში თავიანთი აგენტები დანიშნონო.

ინგლისი და მაკედონიის საქმე. ინგლისური გაზეთები სწერენ: იმედია, ჩვენი მთავრობა ეხლა უფრო დიდ ყურადღებას მიაქცევს მაკედონიის საქმეს და ეცდება, რომ მაკედონიის ავტონომია მიეცეს და საბოლოოდ ეშველოსო.

წერილი დუშეთიდან

ლოთობა.—სამკითხველო.—ეკლესიის გაძარცვა

წრევანდელისთანა დიდი ზამთარი დუშეთში იშვიათია, მაგრამ გლეხობა ძალიან კმაყოფილია ამ ზამთრით, რადგან ამნაირ ზამთარს კარგი მოსავალი მოსდევს. კიდევ იმიტომ არის, რომ ბევრნი, მომავალის იმედით გახარებულნი, ქეიფსა და ლხინს ეძლევიან. რაკი გათენდება კვირა დღე, ახლო-მახლო სოფლებიდან ხალხი სისწრაფით მოდის დუშეთისაკენ. ზოგი საქმისათვის და ზოგიც უსაქმოდ, ბაზარში გასასვლელად და სეირის სანახავად. შუადღემდის ბაზარში ჭიანჭველასავით ირევიან, შუადღის დროს-კი პურის საჭმელად დუქნებისაკენ გაეშურებიან, რასაკვირველია, აქ შეეჩხვდებათ ან ნათლია, ან მეზობელი და ან მოყვარე და ქეიფი გაიმართება. თუ ფული არა აქვთ, იმედი აქვთ, რომ მედუქნე ნისიათ ენდობათ და გულ-უხვად გაუმასპინძლდებათ. მედუქნეც დარწმუნებულია, რომ მარიამობისთვის დამდეგს კალოდან ახლად გამონიავებულ ხვავიდან ნისიაში მიიწყავს ოთხ-ხუთ კოდს წითელ პურს. საღამომდე დუქნიდან არ გამოვლენ. საღამოზე გამოვლენ და ბრაცა-ბრუცით მიდიან სოფლებისაკენ, ზოგი კიდევ მიდის, მაგრამ ზოგი აქვე ქუჩაში იჩეხება და ღმერთმა უწყის, როგორ მიაღწევს სოფლამდის. ხშირად ყოფილა ამნაირი მაგალითები: ზოგი უგზო-უკვლოდ სიარულში ხევში გადავარდნილა და ნადირის საუზმედ ქცეულა და ზოგიც გზაზე ძილში გაყინულა. ახლა რამდენი ჩხუბი და ჩხუბა იმართება. ამას წინად ქალაქის მოედნის ბოლოში ვნახე ერთი კაცი, თოვლში ეგდო და პატარა ბიჭი, 12—13 წლისა, ეწეოდა, მაგრამ ვერაფერს გახდა და ტირილით ჩასძახოდა, „ადექ, მამავ, წავიდეთ.“

დუშეთში სამკითხველოც არსებობს, მაგრამ ვაი ამ არსებობას—სულთ მობრძავია... ქალაქი ერთ ოთახს აძლევს და ანათებს, მაგრამ მარტო ოთახმა და განათებამ რა ჰქნას, როცა სინათლეში წასაკითხს ვერაფერს იპოვით. თუ სამადლოდ რომელიმე რედაქცია გაზეთს გამოუგზავნის, თორემ სად არის ფული, რომ სამკითხველოსთვის გაზეთები და ჟურნალები გამოიწერონ და ან გულშემატკივარი ვინ არის. აქაურ საზოგადოებას ისე უყურადღებოდ აქვს დატოვებული სამკითხველო, რომ თითქო რაღაც მეტი ნივთიაო.

დუშეთის მაზრაში სოფელ ჭილურტში, ღამე, 10 იანვარს, ვიღაცა ავაზაკებს საყდრის ფანჯარა გაუტეხიათ, შესულან და გაუძარცვიათ. წაუღიათ: ბარძიმ-ფეშხუმი, ვარსკვლავი და კოვზი ვერცხლისა, ხალიჩა, მღვდლის სტიხარი და ყულაბი სანთლის ფულით. პოლიციამ ზომები მიიღო, მაგრამ ჯერ ავაზაკების კვალი არსად სჩანს.

დ—ლი.

დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

30 იანვარი.

პეტერბურგი. ორენბურგის ყაზახთა ჯარში ჩარიცხულ გენერალ-ლეიტენანტს, ხივის ხანს სეიდ-მუხამედ-რახიმ-ბოგადურ-ხანს კავალერიის გენერლობა ებოძა და ხივის ხანს მემკვიდრე სეიდ-ასფენდიარ-ტიურა ორენბურგის ყაზახთა ჯარში საჯარო მამასახლისად დაინიშნა.

სახელმწიფო ბანკი აცხადებს, რომ იმის კანტორები და განყოფილებანი ამას იქით, სანამ ეს წესი არ შეიცვლება, ვექსილების განაღდებისა და სესხებისათვის 1% მეტს აიღებს, ვიდრე იღებდა სარგებელს.

სტოკჰოლმი კაპიტანი გუსტავ კრაიცა საზღვაო აგენტად დაინიშნა პეტერბურგში.

სოფია (ოპოზიციის წრეებიდან). აქაურ სლავიანურ ქველ-მოქმედთა საზოგადოებამ იკისრა, წინადადება მიეცეთ, რათა ბოლგარიის ყველა ეკლესიებში, რუსეთ-იაპონიის ომის გამო, რუსეთის გამარჯვებისთვის პარაკლისები გადაიხადონ.—30 იანვარს სოფიის სობოროში პირველ პარაკლისს გადაიხდიან.—ბოლგარიის გაზეთებში მრავალი წერილი დაიბეჭდა, სადაც ნათქვამია, ეს ომი საზოგადოთ სლავიანთა და უფრო კი ბოლგარიისთვის დიდს ინტერესს წარმოადგენსო. დარწმუნებულნი არიან, რომ ძლიერი და უძლეველი რუსეთი გაიმარჯვებს.

ალექსანდროვსკი (მურომზე.) მურმონის ექსპედიციის გემმა „ანდრეი პერვოზვანიმ“ საერთაშორისო პროგრამით ჰიდრობიოლოგიური გამოკვლევა მოახდინა კოლსის მერიდიანის გასწვრივ 740 ჩრდილოეთის სიგანეზე.

31 იანვარი

სტამბოლი. 30 იანვარს რუსეთის ელჩი სელამლიკის შემდეგ სულთანმა აუდიენციაზე მიიღო.

პეტერბურგის ბირჟა, 30 იანვარი

ვექსილის კურსი 3 თვით:

ლონდონისაზე 10 გირვ. სტ.	94,20
ბერლინისაზე 100 მარკაში	46,02$^1/_2$
პარიზისაზე 100 ფრანკში.	37,50
ლონდონისაზე ჩეკები	95,05
ბერლინისაზე „	46,30
პარიზისაზე „	37,72$^1/_2$
ბირჟის დისკონტი	5-6$^1/_2$%
4% სახელმწიფო რენტა	93$^1/_2$ გაყ.
4%-ანი სახელმწ. სესხი 1902 წ. . . .	—
4$^1/_2$% შინაგანი სესხი 1903 წ. . . .	—
4% გირ. ფურ. სახელ. ს.-მამ. ბანკ. .	92$^1/_2$ მყიდ.
5% 1 შინ. სესხ. მომ. ბილ. 1864 წ. .	353$^1/_2$ გაყიდ.
5% მეორე შინ. სესხ. მომ. ბილ. 1866 წ.	291 „
5% გირ. მომგ. ფურც. სახ. ს.-მამ. ბანკ.	250 „
5% ობლ. ტფილ. საკრ. საზოგ. . .	—
4$^1/_2$% ობლ. იმავე საზოგად..	—
5%-ანი ობლ. ბაქოს საკრ. საზოგ. . .	—
5% გირ. ფურც. ტფილ. ს.-მამ. ბანკ.	—
4 2% გირავ. ფურც. ამავე ბანკისა. .	—
6% გირ. ფურ. ქუთ. ს.-მამ. ბანკისა.	—
5% გირავნ. ფურც. იმავე ბანკისა. . .	—
ა. ი. მანთაშევისა და ამხ. აქცია. . . .	182 „

რედაქტორ-გამომცემელი ალ. ჯაბადარი

განცხადებანი

კავკასიის სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების ბიუროსთან იყიდება ცელულიარული

ბ რ ე ნ ა

ყვითელი ფრანგულისა და თეთრი ბალდადის ჯიშისა. ფასი 60 კაპ. მისხალი.

(3—42—3)

მკითხველთა საყურადღებოთ

პირველ დაბარებისთანავე ჩემის ხარჯით ვუგზავნი ჩემ მოთხრობას „ვარინკას ამბავს“ და ლექსებს. გადაკითხვის შემდეგ მარკებით.

სადგურ მიხაილოვის კასირი **გიორგი ჩარხიშვილი.** (2—2)

აფხანაურის სანერგე

ამერიკულ ვაზისა

მიხრან ალ. ანანოვისა. იყიდება ერთის წლის ფესვიანი ვაზები, ამერიკულ ვაზებზე დამყნილი როგორც ადგილობრივ, ისე ფრანგულ ჯიშისა, იყიდება აგრეთვე ამერიკულ ვაზის რქა და გიბრიდები.

აქავე შეიძლება მსურველმა შეუკვეთოს სხვა და სხვა ჯიშის ვაზის დამყნობა მომავალ 1904/5 წლის სეზონისათვის.

ადრესი: სად. რიონი, ამიერ-კავ. რკ. გზისა. მიხრან ალ. ანანოვი (10—6—9)

Дозв. ценз. Тифлисъ 31 января 1904 г.

ელექტრონის სტამბა, ქართ. ამხ—ის წიგნების გამომც.

(Электропеч. Груз. Издат. Т—ва